ხელშეკრულება №(ii - 3/2

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

(გამარტივებული შესყიდვა)

ქ. თბილისი 31 მაისი 2011წ.

ერთის მხრივ, სსიპ საქართველოს ეროვნული მუზეუმი, მისი გენერალური დირექტორის მოადგილის გიორგი ბეზარაშვილის სახით (შემდგომში - შემსყიდველი) და მეორეს მხრივ, შპს „ორიენტ ლოჯიკი", მისი დირექტორის ვაჟა ნასყიდაშვილის სახით, (შემდგომში - მიმწოდებელი), დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. სსიპ საქართველოს ეროვნულ მუზეუმსა და სამეცნიერო ფონდს შორის 2010 წლის 9 მარტს გაფორმებული გრანტის GNSF/ST09_511_5-200 „ზედა პლიოცენისა და ქვედა პლეოსტოცენის პალეოგარემოს აღდგენა და ადრეული ჰომო კავკასიაში (სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოს, დმანისის ადგილსამოვებელი და ივრისპირეთი" ფარგლებში კომპიუტერული მოწყობილობებისა და მარაგების (30200000) ხარჯებიდან საქონლის შეძენა.

2. ხელშეკრულების ობიექტი და ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ობიექტს წარმოადგენს შემდეგი საქონლის შესყიდვა:

№	საქონლის სახელწოდება	განზომილება	რაოდენობა	ერთეულის ღირებულება დღგ-ს ჩათვლით	მთლიანი ღირებულება დღგ-ს ჩათვლით
1	პორტატული კომპიუტერი – DellXPSL502x(i7-2630QM/6500/2Gb GT540M/FHD/6-CELL/TV TUNER)	ცალი	1	2500.00	2500.00
2	უსადენო თაგვი –Mouse Dell WM 311 Wireless Notebook Blue (570-11041)	ცალი	1	50.00	50.00
	სულ სახელშეკრულებო თანხა:				2550.00

2.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მთლიანი ღირებულება შეადგენს 2550.00 (ორი ათას ხუთასორმოცდაათი) ლარს დღგ-ს ჩათვლით.

3. საქონელის ხარისხი და გარანტია

3.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდული საქონელი შესაბამისობაში იქნება საქართველოში მოქმედ სტანდარტებთან და სრულად დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

4. საქონლის შესყიდვის ვადა და ადგილი

4.1. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი სრულად უნდა იქნეს შესყიდული 2011 წლის 10 ივნისამდე.

4.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილი: ქ. თბილისი, გუდიაშვილის №1.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შემოწმებით თუ საქონელი აკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნას, მხარეთა შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი, რომელიც ხელმოწერითა და ბეჭდით უნდა დაამოწმონ შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილმა პირებმა.

5.2. საქონელი ჩაითვლება შესყიდულად მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

6. ანგარიშსწორების პირობები

6.1. ხელშეკრულებით გათვალისწინეული საქონლის ღირებულების ანაზღაურება განხორციელდება საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის, სასაქონლო ზედნადებისა და მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

6.2. ანგარიშსწორება იწარმოებს უნაღდო ანგარიშსწორებით, ლარებში, მიმწოდებლის რეკვიზიტებში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

7. მხარეთა ძირითადი უფლება-მოვალეობანი

7.1. შემსყიდველს უფლება აქვს:

7.1.1. მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება;

7.1.2. განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულებაზე;

7.1.3. მოსთხოვოს მიმწოდებელს დეტალური ინფორმაცია მისაწოდებელი საქონლის შესახებ.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია:

7.2.1. გადაიხადოს საქონლის ღირებულება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესითა და ოდენობით;

7.2.2. შესყიდული საქონელის ნაკლის აღმოჩენის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს მიმწოდებელს და მოითხოვოს ნაკლის აღმოფხვრა;

7.2.3. დაიცვას ხელეკრულებით განსაზღვრული სხვა პირობები.

7.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:

7.3.1. მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონელის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;

7.3.2. მოითხოვოს შემსყიდველისაგან ხელშეკრულების სხვა პირობების დაცვა.

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

7.4.1. მიაწოდოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი;

7.4.2. მიწოდებული საქონლის ნაკლოვანების შემთხვევაში თავისი ხარჯით უზრუნველყოს აღნიშნული ნაკლის გამოსწორება;

7.4.3. მიაწოდოს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი საკუთარი ძალებითა და ტექნიკური საშუალებებით;

7.4.4. წინასწარ აცნობოს შემსყიდველს მოსალოდნელი შეფერხების შესახებ;

7.4.5. ჯეროვნად შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა სხვა პირობა.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

8.1. მიმწოდებელი პასუხისმგებელია მიწოდებული საქონლის ხარისხზე და ვალდებულია სრულად აუნაზღაუროს შემსყიდველს ნებისმიერი ზიანი, რომელიც მას შეიძლება მიადგეს უფლებრივად და ნივთობრივად ნაკლის მქონე საქონლის მიწოდების გამო.

8.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულების, ან შეუსრულებლობის შემთხვევაში ყოველი დაგვიანებული დღისათვის მხარეებს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1% ყოველ გადაცილებულ დღეზე.

8.3. პირგასამტეხლოს გადახდა ხორციელდება მიმწოდებლისათვის ასანაზღაურებელი საქონლის ღირებულებიდან შესაბამისი თანხის გამოქვითვის საშუალებით.

8.4. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს საქონლის მიწოდების ვალდებულებისაგან.

8.5. თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს საანგარიშსწორებო პერიოდისათვის მისაწოდებელი საქონლის ღირებულების 10%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

9. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

9.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

9.2. მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს რუსუდან ჩაგელიშვილი – პროექტის მენეჯერი.

10. გარანტია

10.1. მიმწოდებლის მიერ მოწოდებულ საქონელზე გარანტია ვრცელდება მოწოდებიდან 2 (ორი) წლის განმავლობაში.

11. ფორს-მაჟორი

11.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

11.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით და სხვა.

11.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს

ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

12. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

12.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

12.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

12.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12.4. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1. ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2011 წლის 31 დეკემბრამდე.

13.2. მიმწოდებელს უფლება აქვს ვადაზე ადრე მიაწოდოს შემსყიდველს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი.

13.3. ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა წინასწარი წერილობითი შეთანხმებით. შეწყვეტის შესახებ მათ ერთმანეთს უნდა აცნობონ 30 დღით ადრე.

13.4. ხელშეკრულებით ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა მხარეებს არ ათავისუფლებს ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და მიწოდებული საქონელის ანაზღაურების ვალდებულებისაგან.

14. დავების გადაწყვეტის წესი

14.1. ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით შეთანხმებით მოაგვარონ ხელშეკრულების ირგვლივ წარმოქმნილი ნებისმიერი უთანხმოება და დავა.

14.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადავო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს დავის გადაწყვეტის დადგენილ წესს.

15. დასკვნითი დებულებანი

15.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები რეგულირდება საქართველოს კანონდებლობით.

15.2. მიმწოდებელს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე.

15.3. მესამე პირთან ურთიერთობაზე მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯითა და რისკით.

15.4. ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2 (ორი) ეგზემპლარად და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

16. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
სსიპ „საქართველოს ეროვნული მუზეუმი“	შპს „ორიენტ ლოჯიკი“
მის: ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. №3.	მის/იურიდ: დ. აღმაშენებლის გამზ. №91ა.
ტელ: 98-21-35.	მის/ფაქტ: ქ. თბილისი, ბელიაშვილის გამზ №8.
საიდენტ: 204468664	ტელ/ფაქსი: 54-18-18/33-03-16/527-170.
სს „ქართუ ბანკი“	საიდენტ: 202052054
კოდი: 220101086	სს „პროკრედიტ ბანკი“
ა/ა GE35CR0030086101763408	კოდი: 220101922
	ა/ა 4101467822

გიორგი ბეზარაშვილი
გენერალური დირექტორის მოადგილე

ORIENT LOGIC Ltd

ნასყიდაშვილი
დირექტორი